საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კობალაძე იუსუფ ომერის ძე



ი. კობალაძე

ი. კობალაძე ოიდიპოსის როლში. სოფოკლეს "ოიდიპოს მეფე"

კობალაძე იუსუფ ომერის ძე (25. V. 1906, სოფ. ხუცუბანი, ახლანდ. ქობულეთის მუნიციპალიტეტი, – 31. I. 1981, ბათუმი), თეატრისა და კინოს მსახიობი. საქართვ. სახ. არტისტი (1955). 1932–35 სწავლობდა რუსთაველის თეატრთან არსებულ სტუდიაში (ხელმძღვ. ს. ახმეტელი). მონაწილეობდა ამავე თეატრის სპექტაკლებში. 1937- იდან იყო ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახ. დრამ. თეატრის მსახიობი. კ-ს განსახიერებული აქვს 100-ზე მეტი როლი: არსენა (ს. შანშიაშვილის ,,არსენა“); გელა (ა. წერეთლის ,,პატარა კახი“); ბახა (ვაჟა-ფშაველას ,,მოკვეთილი“); გიჟუა (ა. ცაგარლის ,,რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“); ოტელო (უ. შექსპირის ,,ოტელო“); ურიელი (კ. გუცკოვის ,,ურიელ აკოსტა“); გოჩა (ა. ყაზბეგის ,,ხევისბერი გოჩა“) და სხვ. მსახიობს განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად ოიდიპოსის (სოფოკლეს ,,ოიდიპოს მეფე“) როლში; კ. გადაღებულია ფილმებში: ,,ბაში-აჩუკი“ (ჩოლოყაშვილი; რეჟ. ლ. ესაკია, 1965;); ,,ორი ოჯახი“ (ვახტანგ ყიფიანი; რეჟ. დ. კანდელაკი, 1958); „მანანა“ (ადმირალი; რეჟ-ები ზ. გუდავაძე, შ. მარტიაშვილი, 1958) და სხვ. მსახიობი გამოირჩეოდა იშვიათი სცენური მომხიბვლელობით, ტემპერამენტითა და მდიდარი არტისტული მონაცემებით. დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.